

499.962.1

გ-254

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახლმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ნოდარის ასული ბარამიძე

ზოსიმეს "სწავლაჲს" ქართული თარგმანები

სპეციალობა 10.02.01 — ქართველური ენები

ავტორეზერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 1999

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზურაბ ჭავჭავაძე

საბჭოს ექსპერტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი ვოგოლაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ღამანა მელიქიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
დარეჯან ჩხუბანიშვილი

ნამყვანი ორგანიზაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P 10.02.C № 6 სხდომაზე 1999 წლის ".....7....." ".....14....." საათზე.


მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორპუსი).

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის ".....28....." ".....01....."

სადისერტაციო საბჭოს სწავლული

მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
.....



ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. განუზომელია ათონის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის — ივირონის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიაში. ათონის სალიტერატურო სკოლაში შექმნილი თხზულებები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ქართულ სამწერლობო ტრადიციებზე და მთარგმნელთა სტილსა და მეთოდებზე. ამ სკოლის ფუძემდებელია ცნობილი ქართველი მოღვაწე — ეფთვიმე მთაწმიდელი, "რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში" (კ. კეკელიძე). ამავე სკოლის წარმომადგენელია თეოფილე ხუცესმონაზონი — XI საუკუნის II ნახევრის მთარგმნელი და პოეტი. მისი თხზულებები "ძირითადად ავტოგრაფების სახით არის დაცული ქართული ხელნაწერების ათონურ კოლექციაში (ათონზე), რომელზეც მეცნიერებს უკანასკნელ ხანებამდე ხელი არ მიუწვდებოდათ" (ელ. მეტრეველი). სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ათონური სკოლის ამ ორი წარმომადგენლის — ეფთვიმესა და თეოფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ძველი — VI საუკუნის პალესტინელი მოღვაწის, ზოსიმეს, "სწავლაჲ". ეს თარგმანები ნათლად წარმოაჩენენ ეფთვიმეს და თეოფილეს მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებს, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მომხდარ ცვლილებებს, რომელთა აღნუსხვა და გაანალიზება სალიტერატურო ენის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

კვლევის მიზანი. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს ზოსიმეს "სწავლაჲს" ქართული თარგმანების ხელნაწერთა დახასიათება, მათი ურთიერთმიმართების გარკვევა; თარგმანების ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ანალიზი, მათი შეჯერება ბერძნულ წყაროსთან და ქართველ ავტორთა მთარგმნელობითი მეთოდისა და ქართული ტექსტების ენობრივი თავისებურებების გამოვლენა, არსებული ხელნაწერების მიხედვით თარგმანთა კრიტიკული ტექსტის დადგენა.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში გამოვლენილია სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე უცნობი ფაქტი: ზოსიმეს "სწავლაჲ" ქართულად მხოლოდ ერთი — ეფთვიმესეული თარგმანით იყო

1733